საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება №01-02/169

ქ. ბათუმი 07 ოქტომბერი, 2021 წ.

,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 24 აგვისტოს №01-02/135 ბრძანებაში დამატების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანებით დამტკიცებული ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის", „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 07 ივლისის №59 დადგენილების, 2021–2022 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს მაგისტრატურაში მისაღები კონტინგენტის, სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებელი შესაბამისი მისაღები გამოცდების კოეფიციენტების და სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 18 იანვრის N06-01/02 დადგენილების (ცვლილება - ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს N06-01/84 დადგენილებით), „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 1 ოქტომბრის, 86/ნ ბრძანების, თემურ კახაძის 2021 წლის 07 ოქტომბრის MES 8 21 0001052057, მაგდა დოლიძის 2021 წლის 05 ოქტომბრის MES 3 21 0001027375 და არჩილ ბურჭულაძის 2021 წლის 06 ოქტომბრის MES 7 21 0001044802 განცხადებების, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 07 ოქტომბრის MES 9 21 0001047874 და ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 07 ოქტომბრის MES 0 21 0001052347 სამსახურებრივი ბარათის, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსის 2021 წლის 07 ოქტომბრის N1053209 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 24 აგვისტოს №01-02/135 ბრძანებაში შევიდეს დამატება, კერძოდ ბრძანებას მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8^1 პუნქტი:

,,8[1]. სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე მაგისტრანტობის იმ კანდიდატებთან, რომლებმაც ,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2021-2022 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 24 აგვისტოს №01-02/135 ბრძანებით დადგენილ ვადაში ვერ გამოცხადნენ მატერიალური სახით შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოსადგენად და ხელშეკრულების გასაფორმებლად, დამატებით განესაზღვროთ ამისათვის 2021 წლის **08 ოქტომბერი,** 10:00 საათიდან 17:00 საათამდე (მისამართი: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა N32/35, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის სამუშაო ოთახი).“

2. წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების შესახებ ინფორმაცია აისახოს ბსუ-ს ვებგვერდზე და ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.

3. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (სასწავლო პროცესის მიმართულებით), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ფაკულტეტებს და ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**